

მაგისტრატურა

საგამოცდო ტესტები საგანმანათლებლო პროგრამისათვის

„სატყეო საქმე“

„დენდროლოგია“ – შიშველთესლოვანები, ფარულთესლოვანები

1. დენდროლოგია არის მოძღვრება:

- ა) ტყის ქიმიურ დაცვაზე;
- ბ) ტყის ხელოვნურად გაშენებაზე;
- გ) მერქნიან მცენარეებზე.

2. სინათლე და სითბო მიეკუთვნება:

- ა) ედაფურ (ნიადაგურ) ფაქტორს;
- ბ) კლიმატურ ფაქტორს;
- გ) ოროგრაფიულ (რელიეფურ) ფაქტორს.

3. ზღვის დონიდან სიმაღლე მიეკუთვნება:

- ა) ედაფურ (ნიადაგურ) ფაქტორს;
- ბ) კლიმატურ ფაქტორს;
- გ) ოროგრაფიულ (რელიეფურ) ფაქტორს.

4. Salix alba შედის ოჯახში:

- ა) Pinaceae;
- ბ) Salicaceae;
- გ) Corylaceae;

5. გვარი Picea შედის ოჯახში

- ა) Picea;
- ბ) Pinaceae;
- გ) Taxaceae;

6. გვარი Pterocarya შედის ოჯახში:

- ა) Juglandaceae;
- ბ) Fagaceae;
- გ) Pterocaryaceae;

7. Juglans regia არის:

- ა) ბერძნული თხილი;
- ბ) ბერძნული კაკალი;
- გ) მანჯურიის კოწახური.

8. Castanea sativa შედის ოჯახში:

- ა) Fagaceae;
- ბ) Quercaceae;
- გ) Rosacea.

9. ენდემურია მცენარე, რომელიც:

- ა) ვრცელდება მრავალ ტერიტორიულ ერთეულზე;
- ბ) არსად არ არის გავრცელებული;
- გ) ვრცელდება მხოლოდ გარკვეულ ტერიტორიაზე და სხვაგან არ არის წარმოდგენილი.

10. რომელ ეკოლოგიურ ფაქტორს ეწოდება ანემოფაქტორი?

- ა) ნალექის ფაქტორს;
- ბ) ნიადაგურ ფაქტორს;
- გ) ქარის ფაქტორს.

11. საქართველოს ტყისშემქნელ მცენარეებს შორის ყველაზე მეტი ფართობი უჭირავს:

- ა) Fagus orientalis-ს;
- ბ) Prunus divaricata-ს;
- გ) Quercus iberuca-ს.

12. სიმბიოზი არის:

- ა) მცენარეთა ორმხრივ ურთიერთსაწინააღმდეგო თანაცხოვრება;
- ბ) მცენარეთა ოთხმხრივ ურთიერთსასარგებლო თანაცხოვრება;
- გ) მცენარეთა ორმხრივ ურთიერთსასარგებლო თანაცხოვრება.

13. Taxus baccata შედის ოჯახში:

- ა) Taxonomiaceae;
- ბ) Taxaceae;
- გ) Taxofilaceae.

14. ნიადაგური საფარის სისქე მცირდება:

- ა) ზღვის დონიდან სიმაღლის მატებასთან ერთად;
- ბ) ფერდობის დაქანების სიმკვეთრის ზრდის მიხედვით;
- გ) მზის პირდაპირი რადიაციის ზემოქმედებით.

15. საქართველოს აბორიგენი სახეობაა:

- ა) Picea orientalis;
- ბ) Pinus nigra;
- გ) Abies pinsapo

16. კლიმატური ფაქტორები შედის:

- ა) ფიტოსანიტარულ ფაქტორთა ჯგუფში;
- ბ) ეკოლოგიურ ფაქტორთა ჯგუფში;
- გ) ოროგრაფიულ ფაქტორთა ჯგუფში.

17. ანთროპოგენური ფაქტორი ტყეზე ახდენს:

- ა) როგორც უარყოფით, ისე დადებით გავლენას;
- ბ) მხოლოდ უარყოფით გავლენას;
- გ) მხოლოდ დადებით გავლენას.

18. Carpinus orientalis არის:

- ა) რცხილა;
- ბ) ჯაგრცხილა;
- გ) ცაცხვი.

19. Fraxinus excelsior შედის ოჯახში:

- ა) Fraxinaceae;
- ბ) Oleaceae;
- გ) Fraxaceae;

20. სწორი ტერმინია:

- ა) Taxus baccata-ს ნაყოფი გირჩია;
- ბ) Taxus baccata-ს ნაოფი კენკრაა;
- გ) Taxus baccata -ს ნაყოფი კაკალია.

21. Castanea sativa არის:

- ა) კალციფილი მცენარე;
- ბ) კალციფობი მცენარე;
- გ) როგორც კალციფილი, ისე კალციფობი მცენარე

22. Acer platanoides არის:

- ა) ლეკის ხე;
- ბ) ქორაფი;
- გ) პლატონური ნეკერჩხალი

23. ქსეროფიტი მცენარეა:

- ა) Quercus iberica;
- ბ) Fagus orientalis;
- გ) Laurocerasus officinalis.

24. Ulmus foliacea არის:

- ა) ჩვეულებრივი თელა;
- ბ) კორპიანი თელა;
- გ) თეთრი ლელვი.

25. ჩაქცელებილი ჭიბი ანუ კობი ახასიათებს:

- ა) Pinus Sosnowskyi-ს;
- ბ) Pinus eldarica-ს;
- გ) Pinus pithyusa-ს.

26. რელიქტურია მცენარე:

- ა) შემორჩენილი წარსული გეოლოგიური პერიოდებიდან;
- ბ) გავრცელებული ბოლო გეოლოგიური პერიოდის შემდეგ;
- გ) ასეთი ტერმინი არ არსებობს.

27. Populus hybrida არის:

- ა) ოფი;
- ბ) ხვალა;
- გ) მთრთოლავი ვერხვი.

28. ძლიერ მოკლე ყუნწიანი, თითქმის მჯდომარე ფოთოლი გააჩნია:

- ა) Quercus imeretina -ს;
- ბ) Quercus Longipes – ს;
- გ) Quercus caucasica – ს.

29. Tilia caucasica არის:

- ა) ქსეროფიტი;
- ბ) მეზოფიტი;
- გ) ჰიგროფიტი.

30. Rhododendron ponticum არის:

- ა) შქერი;
- ბ) დეკა;
- გ) იელი.

„ტყემატმცოდნეობა“

31. ტყის სიხშირე არის:

- ა) ტყეში მცენარეთა ერთმანეთისაგან მოშორებით დგომა;
- ბ) ტყეში ხეთა დგომის სიმჭიდროვე;
- გ) ქვეტყის და ხე-მცენარეების ერთად დგომის სიმჭიდროვე.

32. კორომი ნიშნავს:

- ა) ტყის ნაწილს, რომელიც თავისთავად ერთგვაროვანია და განსხვავდება ტყის სხვა ნაწილებისაგან;
- ბ) ქვეტყის ერთობლიობას;
- გ) ცოცხალი საფარის ერთობლიობას.

33. ცოცხალი საფარი არის:

- ა) ბუჩქოვანი საფარი;
- ბ) ბალახოვანი საფარი;
- გ) მერქნიანი და ბალახოვანი საფარის ერთობლიობა.

34. ფორმის მიხედვით კორომი არის:

- ა) მარტივი და რთული;
- ბ) მხოლოდ რთული;
- გ) მხოლოდ მარტივი.

35. პრესლერის ბურღით ვიგებთ:

- ა) კორომის სიხშირეს;
- ბ) ხის ხნოვანებას;
- გ) ხის სიმაღლეს.

36. შემადგენლობის მიხედვით კორომები იყოფა:

- ა) წმინდა და შერეულად;
- ბ) წმინდად;
- გ) შერეულად.

37. გამრეკი მერქნიანი სახეობა ტყეში ხელს უწყობს:

- ა) მთავარი მერქნიანი სახეობის ზრდის ტემპისა და ღეროს ფორმის გაუმჯობესებას;

ბ) ცოცხალი საფარის ბიომრავალფეროვნების ამაღლებას;

გ) საქონლის ძოვების რეგულირებას.

38. ბალახოვანი საფარის ცალკეული სახეობის სიუხვეს ვადგენთ:

ა) კაპერის მეთოდით;

ბ) დრუდეს მეთოდით;

გ) სობოლევის მეთოდით.

39. ფოტოპერიოდი არის:

ა) დღის ხანგრძლივობა, როდესაც მცენარე სრულ განვითარებას ამთავრებს;

ბ) ღამის ხანგრძლივობა, როდესაც მცენარის ზრდა-განვითარება სუსტდება,

გ) ორივე ერთად.

40. კორომის საქონლიანობის არსებობს:

ა) 1,2,3 კლასები;

ბ) 1,2,3,5 კლასები;

გ) 1,2 კლასები.

41. კორომის საბურველის შეკრულობა არის:

ა) ტყეში ბუჩქების საბურველის შეკრულობა;

ბ) ცოცხალი საფარისა და ქვეტყის საბურველის შეკრულობა;

გ) ფართობის ერთეულზე ხეების ვარჯების შეკრულობა.

42. ტყის უმთავრესი ფუნქცია საქართველოში არის:

ა) ნიადაგდაცვითი ფუნქცია;

ბ) საშემე მერქნით სარგებლობის ფუნქცია;

გ) ხილ-კენკროვნების მოპოვების ფუნქცია.

43. მკვდარი საფარის გავლენა ტყეზე არის:

ა) როგორც დადებითი, ისე უარყოფითი;

ბ) მხოლოდ დადებითი;

გ) მხოლოდ უარყოფითი.

44. ბიოლოგიური მდგრადობითა და სამასალე მერქნის მაღალი ხარისხით ხასიათდება:

- ა) ძირკვის ამონაყრიდან მიღებული კორომები;
- ბ) ფესვის ნაბარტყით მიღებული კორომები;
- გ) თესლითი წარმოშობის კორომები.

45. ქვეტყის გავლენა ტყის ბუნებრივ თესლით განახლებაზე არის:

- ა) მხოლოდ დადებითი;
- ბ) მხოლოდ უარყოფითი;
- გ) როგორც დადებითი, ისე უარყოფითი.

46. ტყის ვეგეტატური განახლება ნიშნავს:

- ა) განახლებას მხოლოდ ძირკვის ამონაყრით;
- ბ) განახლებას მხოლოდ ფესვის ნაბარტყით;
- გ) განახლებას ძირკვის ამონაყრით, ფესვის ნაბარტყითა და გადაწვენიით.

47. დაბალი სიხშირის, მეჩხერ და ზოგადად დეგრადირებული კორომების აღსადგენად სასურველია გამოვიყენოთ მხოლოდ:

- ა) ტყის ადგილობრივი მერქნიანები;
- ბ) შემოტანილი მერქნიანები;
- გ) როგორც ადგილობრივი ისე შემოტანილი მერქნიანები.

48. საქართველოს ტყეებისათვის:

- ა) დამახასიათებელია მერქნიან სახეობათა ცვლა;
- ბ) არ არის დამახასიათებელი მერქნიან სახეობათა ცვლა;
- გ) არ მაქვს პასუხი.

49. 1.0 სიხშირის კორომს ეწოდება:

- ა) ნორმალური;
- ბ) საშუალო სიხშირის;
- გ) დაბალი სიხშირის.

50. კორომის ბონიტეტი წარმოდგენილია:

- ა) სამი კლასით;
- ბ) შვიდი კლასით;

გ) ხუთი კლასით.

51. ხნოვანების მიხედვით კორომი არის:

- ა) მხოლოდ ერთხნოვანი;
- ბ) მხოლოდ ნაირხნოვანი;
- გ) ერთხნოვანი და ნაირხნოვანი.

52. სინათლის მიმართ დამოკიდებულების მიხედვით მცენარეები იყოფა:

- ა) სინათლის მომთხოვნ და ჩრდილის ამტანებად;
- ბ) ჩრდილის მომთხოვნ და სინათლის ამტანებად;
- გ) სინათლის მომთხოვნ და ჩრდილის მომთხოვნებად.

53. თოვლის საფარის ქვეშ მოქცეული ნიადაგი ზამთარში:

- ა) იყინება;
- ბ) არ იყინება;
- გ) იშლება.

54. ტყეში ქარის სისწრაფე:

- ა) მცირდება;
- ბ) არ იცვლება;
- გ) იზრდება.

55. ტენის მიმართ დამოკიდებულების მიხედვით მერქნაინები არსებობენ:

- ა) ჰიგროფიტები, მეზოფიტები და ქსეროფიტები;
- ბ) ჰიგროფიტები და ქსეროფიტები;
- გ) ქსეროფიტები და მეზოფიტები.

56. საქონლის ძოვებას ტყისათვის შეუძლია:

- ა) დადებითი შედეგის მოტანა;
- ბ) უარყოფითი შედეგის მოტანა;
- გ) როგორც დადებითი, ისე უარყოფითი შედეგის მოტანა.

57. Castanetum Laurocerasosum არიან:

- ა) წიფლნარი წყავის ქვეტყით;
- ბ) წაბლნარი წივანის საფარით;

გ) წაბლნარი წყავის ქვეტყით.

58. კორომში მერქნიან სახეობათა მოზარდი შეიძლება იყოს

ა) მხოლოდ საიმედო;

ბ) საიმედო და უიმედო;

გ) მხოლოდ უიმედო.

59. ხის დიამეტრი იზომება ხელსაწყოთი, რომელსაც ეწოდება:

ა) სამთითა;

ბ) ოთხთითა;

გ) ორთითა.

60. ტემპერატურის მიმართ დამოკიდებულების მიხედვით, მცენარეები:

ა) სითბოს მომთხოვნი და სიცივის ამტანებია;

ბ) სიცივის მომთხოვნი და სითბოს ამტანებია;

გ) სიცივისა და სითბოს მომთხოვნებია.

„მეტყვეობა“

61. რომელ ორ მთავარ კატეგორიად იყოფა ტყის ჭრები?

- ა) არამთავარ და შუალედურ ჭრებად;
- ბ) მთავარ და მოვლით ჭრებად;
- გ) მოვლით და შუალედურ ჭრებად.

62. კორომის მერქნის მხოლოდ ბოლო წლის მარაგი იჭრება:

- ა) პირწმინდა ჭრების დროს;
- ბ) თანდათანობითი ჭრების დროს;
- გ) ნებით–ამორჩევითი ჭრების დროს.

63. მოვლითი ჭრები ტარდება:

- ა) გადაბერებულ კორომებში;
- ბ) ახალგაზრდა კორომებში;
- გ) მწიფე კორომებში.

64. საშუალო მეურნეობის დროს ვიღებთ:

- ა) სამასალე მერქანს მხოლოდ;
- ბ) საშეშე მერქანს მხოლოდ;
- გ) მსხვილ, წვრილ სამასალე და საშეშე მერქანს.

65. მთავარი სარგებლობის ჭრები ტარდება:

- ა) ახალგაზრდა კორომებში;
- ბ) მწიფე კორომებში;
- გ) ლატნარ კორომებში.

66. ნაბელი მეურნეობის დროს:

- ა) ღეროს 2-3მ–ზე ჭრიან ვარჯს;
- ბ) მცენარის ვარჯს ჭრიან 1მ. სიმაღლეზე;
- გ) მცენარის ვარჯს 10-12 მ–ზე გადაკაფავენ.

67. ხის ჭრის ხნოვანების პრინციპია, რომ ჭრა უნდა წარმოებდეს:

- ა) მცენარის ამონაყრის უნარის შესუსტების შემდეგ;
- ბ) მცენარის ამონაყრის უნარის განვითარებამდე;

გ) სანამ მცენარეს ამონაყრის მოცემის უნარი აქვს.

68. პიროლოგია არის:

ა) მოძღვრება ტყის ხანძრებზე და მათ პრევენციაზე;

ბ) მოძღვრება სატყეო მეურნეობის პიარზე;

გ) მოძღვრება ტყის ეკოსისტემებზე.

69. ტყის ჭრის ნარჩენების ხურგებად დაწვა არის:

ა) ტყეკაფის გათბობის მეთოდი;

ბ) მავნე ორგანიზმების მოზიდვის მეთოდი;

გ) ტყეკაფის გაწმენდის მეთოდი.

70. მოვლითი ჭრის ფრანგული წესი შემუშავებული იქნა:

ა) წიფლის კორომებისთვის;

ბ) რცხილის კორომებისთვის;

გ) მუხის კორომებისთვის.

71. ტყეკაფი (იგივე ტყესაკაფი) ეწოდება ფართობს, რომელზეც ჭრა მიმდინარეობს:

ა) 10 წლის განმავლობაში;

ბ) 20 წლის განმავლობაში;

გ) 1 წლის განმავლობაში.

72. პირწმინდა ჭრების დროს ვაკე რელიეფის პირობებში ტყეკაფის მიმართულება:

ა) გაბატონებული ქარის მიმართულების მართობულია;

ბ) გაბატონებული ქარის მიმართულების პარალელურია;

გ) გაბატონებული ქარის მიმართულებასთან კავშირი არ აქვს.

73. ჭრის მომზადებითი ჯერი ტარდება:

ა) ნებით ამორჩევითი ჭრების დროს;

ბ) თანდათანობითი ჭრების დროს;

გ) ჯგუფურ-ამორჩევითი ჭრების დროს.

74. „ყალთალი“ არის:

ა) ტყის ჭრის შედეგად გაჩენილი ფანჯარა;

ბ) ტყის ჭრამდე მოწყობილი ფანჯარა;

გ) ასეთი ტერმინი არ არსებობს.

75. ჯგუფურ-ამორჩევითი ჭრების ჩატარების დროს:

ა) ტყე კარგავს ნიადაგდაცვით უნარს;

ბ) ტყე ინარჩუნებს ნიადაგდაცვით და წყალდაცვით უნარს;

გ). ტყე კარგავს წყალდაცვით უნარს.

76. „კომპლექსური ჭრები“ ეწოდება:

ა) ჯგუფურ – ამორჩევით ჭრებს;

ბ) უნებურ – ამორჩევით ჭრებს;

გ) ნებით – ამორჩევით ჭრებს.

77. ნებით – ამორჩევითი ჭრების დროს:

ა) იჭრება ტყის მნიშვნელოვანი ნაწილი;

ბ) იჭრება ტყის მთელი მასივი;

გ) ნიადაგი მუდამ დაფარულია ტყით და ნოყიერდება ჩამონაცვენით.

78. არშისებური ჭრები ატარებს:

ა) გლინკას სახელს;

ბ) ბახის სახელს;

გ) ვაგნერის სახელს.

79. დაბლარი მეურნეობა ემყარება:

ა) ტყის ამონაყრით განახლებას;

ბ) ტყის ცოცხალი საფარის სიუხვეს;

გ) ტყის მკვდარი საფარით დაფარულობის ხარისხს.

80. „დაუერვალდის მეურნეობა“ არის:

ა) წყვეტილი სარგებლობის მეურნეობა;

ბ) შუალედური სარგებლობის მეურნეობა;

გ) უწყვეტი სარგებლობის მეურნეობა.

81. მოვლითი ჭრის მიზანია:

ა) ახალგაზრდა კორომის ფორმირება და მიყვანა მწიფე ხნოვანებამდე;

ბ) ტყის ხანძრისსაწინააღმდეგო ფუნქციის გაძლიერება;

გ) მხოლოდ სამასალე მერქნის მიღება;

82. გამობშირვა ეწოდება მოვლით ჭრებს:

ა) ლატნარობის ხნოვანებაში;

ბ) შუახნოვან ბიოლოგიურ ასაკში;

გ) მომწიფარ ცნოვანებაში.

83. ბორგრევეს მოვლითი ჭრები მიეკუთვნება:

ა) დაბლით წესს;

ბ) მაღლით წესს;

გ) საშუალო წესს.

84. მოვლითი ჭრების ძველი გერმანული წესი ემყარება:

ა) კრაფტის კლასიფიკაციას;

ბ) ჭელიძის კლასიფიკაციას;

გ) აბაშიძის კლასიფიკაციას.

85. მოვლითი ჭრების დანიური წესი შეიქმნა:

ა) ფიჭვნარებისათვის;

ბ) წაბლნარებისათვის;

გ) წიფლნარებისათვის.

86. კრავჩინსკის ჭრებს ეწოდება:

ა) საჩრდილობელი ჭრები;

ბ) სანათი ჭრები;

გ) ხნოვანებითი ჭრები.

87. ტყის მიწისქვეშა ხანძრის დროს:

ა) იწვის ტორფის ფენა ტორფიან ჭაობში;

ბ) იწვის ხის ღეროს მიწისქვეშა ნაწილი;

გ) იწვის ნიადაგის ბალახოვანი საფარი.

88. ტყის ხანძარი ადვილად ჩნდება:

ა) წყალმცენარეებში;

ბ) მუქწიწვიან ტყეებში;

გ) უტყეო ფართობზე.

89. შემხვედრი ცეცხლი გამოიყენება:

ა) ტყის ხანძრის ჩასაქრობად;

ბ) ტყეში ხანძრის გაჩენისას;

გ) მავნე ორგანიზმების საპრევენციოდ.

90. შუალედური სარგებლობის გავლითი ჭრა ითვალისწინებს:

ა) მერქნის მარაგის შემატებას;

ბ) მერქნის მარაგის შემცირებას;

გ) მერქნის მთელი მარაგის ჭრას.

სატყეო ტაქსაცია და ტყეთმოწყობა

91. წლიური სააგნარიშო ტყეკაფის სიდიდე ცალკე ისაზღვრება ტყეკაფითი მეურნეობის დროს.

- ა) სამეურნეო ნაწილისათვის
- ბ) სამეურნეო სექციისათვის
- გ) სატყეო უბნისათვის

92. ტყეთმოწყობა მერქნით სარგებლობას საზღვრავს და აპროექტებს:

- ა) მთავარს;
- ბ) შუალედურს;
- გ) დამატებითს
- დ) მთავარს, შუალედურს და დამატებითს

93. ტყეთმოწყობა თავის საქმიანობაში ხელმძღვანელობს

- ა) ტყეთმოწყობის ინსტრუქციით;
- ბ) სატყეო კოდექსით
- გ) სადირექტივო ორგანოების დადგენილებებით
- დ) ყველა ზემოთ მოყვანილი პასუხი სწორია

94. სატყეო აგეგმვითი სამუშაოების სიზუსტე დამოკიდებულია საგეგმო დოკუმენტებისათვის შერჩეულ მასშტაბზე. ტყეთმოწყობის რომელი თანრიგით არის პლანშეტის მასშტაბი 1: 25000

- ა) I
- ბ) II
- გ) III

95. ისე როგორც პლანშეტებისათვის ტყეთმოწყობის თანრიგით განისაზღვრება აგრეთვე კორომთა გეგმის მასშტაბიც 1:50 000 არის

- ა) I
- ბ) II
- გ) III

96. სატყეო მეურნეობის ტყის ფონდის დახასიათებისათვის ძირითად დასაყრდენს წარმოადგენს ცხრილი (სტუდენტის პირადი მასლების მიხედვით):

- ა) №2

ბ) №3

გ) №6

97. ნორმალური ტყის საშუალო ნორმალური მარაგი 1 ჰა-ზე არის

ა) $\frac{UZU}{2}$

ბ) $\frac{UZ}{2}$

გ) $\frac{200}{U}$

98. ტყეები ხანძარსაშიშროების მიხედვით იყოფა კლასებად

ა) სამი

ბ) ოთხი

გ) ხუთი

99. ერთგვაროვან კორომში საშუალო დიამეტრისათვის ვარიაციის კოეფიციენტის Cd – 20 -25% და სიზუსტის პროცენტის P=2 პირობებში რას უდრის „n“

ა) 100-156

ბ) 200-225

გ) 250-300

100. ნაირგვაროვან კორომში საშუალო სიმაღლისათვის Ch-20-30% და ხდომილობის n=100 – ის პირობებში რას უდრის კვლევის სიზუსტის P - პროცენტი.

ა) 20-30

ბ) 40-90

გ) 120-270

101. წიფლის კორომის 1ჰა-ზე მარაგის განმსაზღვრელი ფორმულა M=16HP ეკუთვნის მეცნიერ-მეკვლევარს:

ა) გერდინგს

ბ) ბორგრევეს

გ) გერდინგ-ბორგრევეს.

102. კორომის მარაგის განმსაზღვრელი ზოგადი ფორმულა $M=K(H-a)P$ ეკუთვნის რომელ მკვლევარს

- ა) ტრეტიაკოვს,
- ბ) ტარაშკევიჩს
- გ) ტიურინს

103. ნებისმიერი სატაქსაციო ნიშნის გაანგარიშების ზოგადი ფორმულა $AT=Aa+b$ ეკუთვნის

- ა) ტარაშკევიჩს
- ბ) ორლოვს
- გ) დვორეცკს.

104. სამოდელო ხეებისათვის მოცულობების გაანგარიშების ფორმულები

$V=D^2a+b$ და $V=ag+b$ ეკუთვნის მეცნიერ-მკვლევარს:

- ა) ტარაშკევიჩს
- ბ) პრესლერს
- გ) კოპეცკის.

105. ტყის საბურველქვეშ განახლების შესასწავლად პროფ. ანუჩინის მიხედვით რეკომენდებულია აღებული იქნეს ბაქნების რაოდენობა.

- ა) 5-10
- ბ) 15-20
- გ) 25-30

106. ვის ეკუთვნის 1 ჰა ფართობზე ასაღები, მრგვალი სანიმუშო ფართობების რიცხვის ფორმულა $n=7\sqrt{F}$

- ა) ფან პარეს
- ბ) ჩუენკოვს
- გ) ანრასს

107. 1:20 000 მასშტაბის დროს ფორმატის სახაზავი ქალაქის ერთ ფურცელზე ზომით (50-50 სმ) მოთავსდება სატყეო ფართობი

- ა) 10 000 ჰა
- ბ) 25 000 ჰა
- გ) 25 0000 ჰა

108. ვინ არის მერქნით სარგებლობის წლიური ოდენობის საანგარიშო ტყეკაფის ფორმულის $t = ZW \frac{A}{0.5U}$ ავტორი

- ა) გაიერი
- ბ) ბრაიმანი
- გ) სუკაჩოვი

109. ანუჩინის ტყეკაფის ფორმულაში შეტანილია „ $\frac{A}{0.5U}$ “ წევრის მრიცხველი „A“ აღნიშნავს:

- ა) სამეურნეო სექციის საშუალო ხნოვანებას
- ბ) მეურნეობის ბრუნვის ხნოვანებას
- გ) სამეურნეო ხნოვანებას

110. ხელსაწყო სამუშაო GPS რეჟიმი იმართება

- ა) სამყაროს პოლუსებით
- ბ) ინტერნეტით
- გ) ხელოვნური თანამგზავრით.

111. მტკნარი წყლის 1დმ³ მოცულობა (1 ლიტრი) რა ტემპერატურის დროს იწონის 1კგ-ს

- ა) 14 °C
- ბ) 19,5 °C
- გ) 4 °C

112. დახერხილი ხე-ტყე სიგრძეზე იზომება:

- ა) მ-ით და დმ-ით
- ბ) მ-ით და სმ-ით
- ბ) მ-ით და მმ-ით

113. ხის ღეროს კვეთის ფართობი ისაზღვრება:

- ა) მ²-ით და სმ²-ით
- ბ) დმ² – ით და სმ²-ით
- გ) სმ²-ით და მმ²-ით

114. სმალიანის მიხედვით ხის ღეროს მოცულობის ფორმულის საფუძველია:

- ა) წაკვეთილი პარაბოლოიდი
- ბ) წაკვეთილი ნეილოიდი
- გ) ცილინდრი

115. გუბერის მიხედვით ხის ღეროს მოცულობის ფორმულის საფუძველია:

- ა) სრული კონუსი
- ბ) სრული პარაბოლოიდი
- გ) ცილინდრი

116. ჩამოგანული ფიცრისა და ძელაკისათვის სიგრძის მიხედვით გნდე არის:

- ა) 2
- ბ) 4
- გ) 8

117. წიწვიანებისათვის დახერხილ ხე-ტყეს სიგრძის მიხედვით ასხვავენ:

- ა) 1მ-დან 6-მ-მდე – გრადაცია 0,45 მ
- ბ) 0-დან 5 მ-მდე – გრადაცია 0,25 მ
- გ) 1 მ-დან 5,5 მ-მდე – გრადაცია 0,15 მ

118. ფოთლოვანებისათვის დახერხილ ხე-ტყეს სიგრძის მიხედვით ასხვავენ:

- ა) 1მ-დან 5,5-მ-მდე – გრადაცია 0,20 მ
- ბ) 1მ-დან 4-მ-მდე – გრადაცია 0,35 მ
- გ) 1 მ-დან 4,5 მ-მდე – გრადაცია 0,10 მ

119. მორის ნაორალის მოცულობის განსაზღვრა შეიძლება

- ა) $V = \pi R^{1/2} L / 2$
- ბ) $V = \pi R^2 L / 2$
- გ) $V = \pi r^2 L / 2$

120. შტაბელში დალაგებული მორების მკვრივიდან წყობითში და პირიქით გადასაყვანი კოეფიციენტების ფორმულებისათვის წვრილი დიამეტრი ისაზღვრება:

- ა) საშუალო არითმეტიკულით
- ბ) საშუალო შეწონილით
- გ) მრგვალი ხე-ტყის მოცულობის ცხრილებით.

121. გრძელი შეშის მოკლე ღერებად დახერხვით შეშის მორის მოცულობა მოიკლებს და მერქანსრულობის კოეფიციენტი:

- ა) შემცირდება
- ბ) უცვლელი დარჩება
- გ) გაიზრდება

122. რა ჰქვია გრძელი შეშის მოკლე ღერებად დახერხვით შეშის ღეროების მოცულობის დაკლებას

- ა) მინახერხი
- ბ) მინაპობი
- გ) მინათალი

123. ქერქის სისქის მიხედვით დაასახელეთ თხელქერქიანი სახეობებია:

- ა) ბალი
- ბ) ფიჭვი
- გ) წიფელი

124. ქერქის სისქის მიხედვით დაასახელეთ საშუალო ქერქიანი სახეობებია:

- ა) მუხა
- ბ) სოჭი
- გ) არყი

125. ქერქის სისქის მიხედვით დაასახელეთ სქელქერქიანი სახეობებია:

- ა) ნაძვი
- ბ) მუხა
- გ) ბალამწარა

„ტყის კულტურები და სატყეო მელიორაცია“

126. როგორია ხის ნაყოფმსხმოიარობა სიმწიფის შემდგომ პერიოდებში:

- ა) იმატებს;
- ბ) იკლებს;
- გ) ერთ ნიშნულზე რჩება.

127. ხელსაყრელ გარემო პირობებში მერქნიან მცენარეთა მეწლების სიხშირე:

- ა) იკლებს;
- ბ) იმატებს;
- გ) არ იცვლება.

128. მცენარის დამტვერვისას რა შემთხვევაში მიიღება კონდიციური თესლი?

- ა) თვითდამტვერვისას;
- ბ) ჯვარედინი დამტვერვისას;
- გ) დამტვერვის გარეშე.

129. ტყის ნაყოფმსხმოიარობაზე როგორ გავლენას ახდენს ბიოტური ფაქტორი:

- ა) დადებითს;
- ბ) უარყოფითს;
- გ) როგორც დადებითს, ისე უარყოფითს.

130. მოსავლის თვალზომურად გაზომვის მეთოდი ეკუთვნის:

- ა) სობოლევს;
- ბ) ლაუპრეტს;
- გ) კაპერს.

131. მერქნიანების თესლი ფიზიოლოგიურად დამწიფებულად ითვლება:

- ა) როდესაც მასში ჩანასახი აღმოცენების უნარიანი ხდება;
- ბ) ხელსაყრელ გარემო პირობებში;
- გ) გარემო პირობებს ნაკლები მნიშვნელობა აქვს.

132. რა დროს ხდება მუხის რკოს ინტენსიური ჩამოცვენა:

- ა) მშრალ და გვალვიან პერიოდში;
- ბ) უხვნალექიან პერიოდში;

გ) ზომიერად გრილ პერიოდში.

133. შეღებვის მეთოდით დგინდება თესლის:

ა) სიცოცლისუნარიანობა;

ბ) წონა;

გ) ფერი.

134. თესლის მოსვენებაში იგულისხმება:

ა) ხანმოკლე იძულებითი მოსვენება;

ბ) ხანგრძლივი იძულებითი მოსვენება;

გ) ხანმოკლე და ხანგრძლივი იძულებითი მოსვენება.

135. თესლის სტრატეფიკაცია არის:

ა) თესლის თოვლში შენახვა;

ბ) თესლის წყალში შენახვა;

გ) თესლის სილაში შენახვა ფენებად

136. ტყის სანერგე არის:

ა) მხოლოდ მუდმივი;

ბ) მხოლოდ დროებითი;

გ) მუდმივი და დროებითი.

137. ტყის კულტურა არის

ა) ბუნებრივად შექმნილი ნარგაობა;

ბ) ხელოვნურად შექმნილი ნარგაობა;

გ) ორივე ერთად

138. ტყის კულტურებს საბურველქვეშ ეწოდებათ:

ა) შემდგომი კულტურები;

ბ) წინასწარი კულტურები;

გ) დაჩრდილული კულტურები.

139. მთლიანი კულტურები შენდება იქ, სადაც:

ა) ტყის ბუნებრივი განახლება უხვადმიმდინარეობს;

ბ) ტყის ბუნებრივი განახლება საშუალოდ მიმდინარეობს;

გ) ტყის ბუნებრივი განახლება არ მიმდინარეობს.

140. ტყის გაშენება მიმდინარეობს:

ა) მხოლოდ დარგვით;

ბ) მხოლოდ თესვით;

გ) როგორც დარგვით, ისე თესვით.

141. პირველი ხარისხის სარგავ მასალას მიეკუთვნება – ნერგი:

ა) საუკეთესო კონდიციაში;

ბ) კარგი;

გ) დაზიანებული.

142. მთლიანი კულტურები შემადგენლობის მიხედვით არის:

ა) მხოლოდ წმინდა;

ბ) მხოლოდ შერეული;

გ) როგორც წმინდა ისე შერეული.

143. ტრანსპლანტაცია სანერგეში ეწოდება:

ა) მცნობას;

ბ) ბუჩქის დახლეჩით გამრავლებას;

გ) ნერგის რეპროდუქციული ორგანოს შეცვლას.

144. ტყის კულტურების ინვენტარიზაცია ტარდება:

ა) ზაფხულში – ვეგეტაციისას;

ბ) გაზაფხულზე – ვეგეტაციამდე;

გ) შემოდგომაზე – ვეგეტაციის დასრულების შემდეგ.

145. დიდი ზომის ტყის ნერგის მოთხრა და დარგვა უმჯობესია:

ა) ბელტიანად;

ბ) ბელტის გარეშე;

გ) ფესვის ნაწილის შეჭრით.

146. ნიადაგის ეროზია არის:

- ა) მისი დაშლა;
- ბ) მისი აღდგენა;
- გ) მისი დაშლა და აღდგენა.

147. მელიორაცია ნიშნავს:

- ა) გაუმჯობესებას;
- ბ) გაუარესებას;
- გ) წყლის დაცვას.

148. ნორმალური ეროზია მიმდინარეობს იქ, სადაც:

- ა) ეროზია ჩვეულებრივ ხდება;
- ბ) სადაც ნიადაგი დაშლასთან ერთად აღდგენასაც ასწრებს;
- გ) ასეთი სახის ეროზია არ არსებობს.

149. ფართობზე განლაგების მიხედვით ქარსაფარი ზოლი არის:

- ა) ძირითადი და დამხმარე;
- ბ) მხოლოდ ძირითადი;
- გ) მხოლოდ დამხმარე.

150. ქარისმიერ ეროზიას ეწოდება:

- ა) ანემო ეროზია;
- ბ) მხოლოდ აღნიშნული სახელი;
- გ) დეფლიაცია.

151. დახრამვა ეწოდება:

- ა) სიბრტყისებურ ეროზიას;
- ბ) ჭავლისებურ ეროზიას;
- გ) ხაზობრივ ეროზიას.

152. სტრუქტურის მიხედვით ქარსაფარი ზოლი არის:

- ა) მხოლოდ ქარგამტარი;
- ბ) მხოლოდ ქარგაუმტარი;
- გ) ქარგამტარი, ნახევრად ქარგამტარი, ქარგაუმტარი.

153. ძირითადი ზოლი გაბატონებული ქარის მიმართ შენდება:

- ა) მართობულად;
- ბ) პარალელურად;
- გ) მახვილი კუთხით.

154. „აჟურული“ ეწოდება:

- ა) ქარგამტარ ზოლს;
- ბ) ქარგაუმტარ ზოლს;
- გ) ნახევრად ქარგამტარ ზოლს.

155. დამხმარე ზოლი ძირითადი ზოლის მიმართ შენდება:

- ა) მართობულად;
- ბ) მახვილი კუთხით;
- გ) პარალელურად.

ლიტერატურა

1. ვ. გულისაშვილი. ზოგადიმეტყვეობა, თბილისი, 1974.
2. ვ. გულისაშვილი. მეთყვეობა
3. თ. ჯაფარიძე. მეთყვეობა. თბილისი, 2003, 297 გვ.
4. თ. ჯაფარიძე, რ. ჩაგელიშვილი, რ. რუხაძე. ტყისკულტურები. თბ.: პოლიგრაფისტი, 2008. 295 გვ.
5. ა. ბეროზაშვილი. ტყისკულტურები და სატყეომელიორაცია. თბ.: განათლება, 1981. 321 გვ.
6. ა. ბეროზაშვილი. დაცვითი ტყის ზოლები. თბ.: 1977, 81 გვ.
7. ა. ბეროზაშვილი. ნიადაგის ეროზიის დამსთანბრებელი
8. ი. აბაშიძე. დენდროლოგია. ნაწილი I, 1974
9. ი. აბაშიძე. დენდროლოგია. ნაწილი II, 1962
10. ა. ციციძე, გ. გიგაური, გ. გაგოშიძე. დენდროლოგია (შიშველთესლოვანები). თბ.: განათლება, 2004, 236 გვ.
11. შ. აფციაური - სატყეო ტექსტილის პრაქტიკუმი. თბ.: "ცოდნა", 1964, 160 გვ.
12. ვ. მირზაშვილი. სატყეო ტექსტილი. თბ.: "ცოდნა", 1960, 476 გვ.
13. გ. გიგაური. ტყეთმომწეობა. თბ.: 2001, 355 გვ.